დანართი 8

სს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში ათი(10) წლის ვადით, იჯარის წესით გადაცემის მიზნით.

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:

1.1 ქონების ტიპი: სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (შემდგომში „უძრავი ქონება) შემდეგი მონაცემებით:

1.2 საკადასტრო კოდი: 69.06.63.892;

1.3 ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;

1.4 მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიშხეთი;

1.5 ფართობი: 150 კვ.მ.

1.6 საწყისი წლიური საიჯარო ფასი - 1600 ლარი დღგ-ს ჩათვლით;

1.7 ბიჯი - 50 ლარი;

1.8 „ბე" – 300 ლარი;

1.9 აუქციონის დაწყების თარიღი: ----, 2024;

1.10 აუქციონის დასრულების თარიღი: დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე;

2. აუქციონის არსებითი პირობები:

2.1 წინამდებარე აუქციონის საფუძველზე გამარჯვებული პირი ხუთი(5) წლის ვადით მოიპოვებს იჯარის უფლებას „უძრავ ქონებაზე";

2.2 ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს „ბე".

2.3 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის შედეგების გამოცხადებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს აუქციონის შედეგად დაფიქსირებული ერთი წლის საიჯარო ღირებულება წინასწარ, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონი ჩაითვლება ჩაშლილად და მას არ დაუბრუნდება გადახდილი „ბე".

2.4 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება ერთი წლის საიჯარო ღირებულების წინასწარ გადახდიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, არსებითად დანართის სახით წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.

2.5 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული (შემდგომში „მოიჯარე") ვალდებულია გასწიოს „უძრავი ქონების" სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა ხარჯი (მათ შორის სანოტარო საზღაური, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „რეესტრი") რეგისტრაციის საფასური.

2.6 საიჯარის ხელშეკრულების „რეესტრში" რეგისტრაციისთანავე მოიჯარეზე სრულად გადადის „უძრავი ქონებიდან" გამომდინარე ყველა უფლება და ვალდებულება.

2.7ელექტრონული აუქციონის მიმდინარეობის ვადა: ინტერნეტ აუქციონის დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე.

3. განსაკუთრებული პირობები:

3.1 „უძრავი ქონების" იჯარის ხელშეკრულება გაფორმდება ლარში, აუქციონის შედეგად დადგენილი საიჯარო ღირებულების გათვალისწინებით;

3.2 „უძრავი ქონების“ საიჯარო ღირებულების (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვის გზით:

მიმღების ბანკი: სს ”საქართველოს ბანკი”;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგარიშის ნომერი GE03BG0000000859804100, ეროვნულ ვალუტაში.

4. ვალდებულებები:

4.2. „უძრავ ქონებაზე“ რაიმე შენობა-ნაგებობის განთავსების შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია შესაბამისი პროექტი წინასწარ შეათანხმოს სს „საქართველოს რკინიგზასთან“

4.3. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგულაციები, საგაბარიტო ნორმები, კანონმდებლობებით, სამშენებლო ნორმებით, წესებით და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესებით დადგენილი რეგულაციები, მათ შორის საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 ქალაქმშენებლობის პუნქტების 3.8 და 6.8-ს, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის დასახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

- „უძრავი ქონების“ და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს ”საქართველოს რკინიგზაში”. მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15. ტელ 591 199181.